პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 42-ე წელი, № 191 (12105) | სამშაბათი, 22 აგვისტო, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ახლოვდება სკოლებში სასწავლო წლის დაწყება. დიდი აღმავლობით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით ემზადებიან ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის საბჭოთა მასწავლებლები.

მასწავლებელი! ათასობით ბავშვი გაივლის მის ცხოვრებაში. და თვითეულს უხვად აძლევს იგი თავის ცოდნას, თავისი გულის სითბოს. არავინ არ ითვლის მის უძილო ღამეებს, მაგრამ ადამიანები აჯილდოებენ მას სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით, უწოდებენ საპატიო სახელს — „სახალხო მასწავლებელი“. თვითეული ადამიანის გულში სამუდამოდ რჩება სახე მასწავლებლისა, რომელმაც მის წინ გააფართოვა გარემომცველი სამყაროს საზღვრები, თანდათანობით შეიყვანა პატარა მოქალაქე დიდ ცხოვრებაში.

კომუნისტური პარტია საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახალხო მასწავლებელს. პარტიის პროგრამა, რომელიც შემუშავებულია დიდი ლენინის მიერ და მიღებულ იქნა სამოქალაქო ომის ცეცხლიან დღეებში, ნგრევის წლებში, ითვალისწინებდა კომუნიზმის იდეებით გამსჭვალულ ახალ მასწავლებელთა კადრების მომზადებას. პარტიამ განახორციელა ლენინის ანდერძი. წარმატებით ვითარდება საბჭოთა სკოლა. და სკოლის მასწავლებელთა ორმილიონიანი არმია ეხმარება ჩვენს ქვეყანას აღზარდოს ნორჩი თაობა, რომელმაც უნდა ააშენოს კომუნიზმი, იცხოვროს კომუნისტურ საზოგადოებაში.

დიდია ჩვენი სამშობლოს წარმატებები. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ მისი მიღწევებით ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებაში. და ყოველივე ეს მოპოვებულია იმათი დაუცხრომელი შრომით, ენერგიითა და სიმტკიცით, ვისაც სკოლის წლებში ასწავლიდა და მზრუნველობით ზრდიდა ჩვენი სახალხო მასწავლებელი. პარტია და მთავრობა, ყველა საბჭოთა ადამიანი დიდად აფასებს მასწავლებლის შრომას. ბევრ მასწავლებელს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, მრავალ ათასობით პედაგოგი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით.

უკანასკნელ წლებში ჩვენი სკოლა ცხოვრებას მიუახლოვდა. ბევრი მასწავლებელი უნარიანად ამზადებს თავის აღსაზრდელებს შრომითი საქმიანობისათვის. აი მაგალითად. ვორონეჟის ოლქის პოვორინოს რაიონის პესკის საშუალო სკოლის მასწავლებელმა იაროსლავ ალექსის-ძე ევდოკიმოვმა ამ ორი წლის წინათ კლასს წინადადება მისცა შეექმნა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა. ბავშვები შრომობდნენ საკოლმეურნეო მინდვრებში, ყოველთვის მიდიოდნენ იქ, სადაც მეტი სიძნელეები იყო. და არავის არ გაჰკვირვებია, როცა სკოლის დამთავრების შემდეგ ჭაბუკები და ქალიშვილები თავიანთი კლასის ხელმძღვანელთან ერთად სამუშაოდ წავიდნენ პესკის კოლმეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ ფერმაში. მცირე ხნის განმავლობაში ნორჩმა მეცხოველეებმა სანიმუშო მეურნეობად გადააქცივეს მეღორეობის ფერმა. ი. ა. ევდოკიმოვი ახლაც თავისი აღზრდილების მუდმივი მეგობარი და მრჩეველია. აქვს რა უმაღლესი პედაგოგიური განათლება, იგი შევიდა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომ უკეთ ერკვეოდეს მეცხოველეობის საკითხებში.

სახალხო განათლების შემდგომი განვითარების დიდი პერსპექტივებია დასახული სკკპ ახალი პროგრამის პროექტით. უკვე პირველ ათწლეულში განხორციელდება თერთმეტწლიანი განათლება სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისათვის. სკოლა მოწოდებულია უზრუნველყოს მეცნიერების საფუძვლების მტკიცე ცოდნა, კომუნისტური მსოფლმხედველობის პრინციპების დაუფლება, შრომითი და პოლიტექნიკური მომზადება. „ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ა მ ა შ ი,— ხაზგასმულია სკკპ პროგრამის პროექტში, — დ ი დ ი, სა პ ა ტ ი ო და პ ა ს უ ხ ს ა გ ე ბ ი რ ო ლ ი ე კ უ თ ვ ნ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო მ ა ს წ ა ვ ლ ებ ელ ს...“

პარტია და მთავრობა, საბჭოთა ხალხი მასწავლებელს ანდობენ ყველაზე ძვირფასს — ბავშვებს, და, მასასადამე, ჩვენი ქვეყნის მომავალსაც. ეს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს მასწავლებლებს. უკვე 1965 წელს ჩვენი ქვეყნის სკოლებში 38-40 მილიონი ბავშვი ისწავლის. იმისათვის, რომ ვასწავლიდეთ და ვზრდიდეთ კომუნიზმის მშენებელთა ასეთ დიდ არმიას, საჭიროა მასწავლებელთა კვალიფიციური კადრები. მათზეა დამოკიდებული ის, რომ საშუალო სკოლა მხარდამხარ მიჰყვებოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, წარმატებით ამზადებდეს ახალ და ახალ შევსებას სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის, უნერგავდეს აღსაზრდელებს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის მაღალ ზნეობრივ პრინციპებს. ყოველივე ეს მასწავლებლებისაგან მოითხოვს დიდ პედაგოგიურ ოსტატობას, ფართო ცოდნას, მაღალ კულტურასა და თავისი საქმის მხურვალე სიყვარულს.

ბევრ მასწავლებელს მოხერხებულად შეჰყავს ბავშვები ცოდნის საუცხოო სამყაროში, მტკიცე საძირკველს უყრის მეცნიერების საფუძვლებს. მაგალითად, ლიპეცკის ოლქის ტროეკუროვოს სკოლა-ინტერნატის მასწავლებელთა ერთსულოვან კოლექტივს სკოლის დირექტორის ვ. ზ. ნიჩიტაევის ხელმძღვანელობით უკვე მრავალი წელია არა ჰყავს არც ერთი მეორეწლიანი მოსწავლე. და უნდა ითქვას, რომ აქ მასწავლებელთა კოლექტივი მაღალ მომთხოვნელობას უყენებს მოსწავლეებს, მკაცრად უდგება მათი ცოდნის შეფასებას.

მაგრამ ჯერ კიდევ არის ისეთი სკოლები, რომლებშიც აშკარად არაკმაყოფილებელია მასწავლებელთა მომთხოვნელობა მოსწავლეებისადმი, გაკვეთილები დაბალ დონეზე მიმდინარეობს, სუსტად უკავშირდება ცხოვრებას, გარემომცველ სინამდვილეს. ისეც ხდება, რომ აკადემიური წარმატების მაღალი პროცენტით გატაცების გამო ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლები ხელოვნურად უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ მოსწავლეთა ცოდნას.

მომავალ სასწავლო წელს გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, ავამაღლოთ ზოგადსაგანმათლებლო საგნების სწავლების დონე.

ჩვენი ქვეყნის ყველა სკოლის პირველი-მეექვსე კლასების მოსწავლენი უკვე გადავიდნენ ახალ სასწავლო გეგმებზე. 1 სექტემბრიდან ახალი პროგრამებით ისწავლიან მეშვიდე კლასელებიც. მათთვის პირველად არის შემოღებული სსრ კავშირის ისტორიის ელემენტარული კურსის შესწავლა. ზოგიერთი ცვლილება შეტანილია სხვა სასწავლო დისციპლინების სწავლებაშიც. ეს მოითხოვს მასწავლებელთა წინასწარ და კარგ მომზადებას ახალი სასწავლო წლისათვის. და აქ მათ დახმარება უნდა გაუწიონ სახალხო განათლების ორგანოებმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა, რაიონულმა პედაგოგიურმა კაბინეტებმა.

მაგრამ ბავშვთა სწავლება მასწავლებლების მუშაობის მხოლოდ ნაწილია. სკოლა ვერ შეასრულებს თავის ამოცანებს, თუ არ გამოუმუშავა ბავშვებს შრომის ჩვევები. მასწავლებლის შემოქმედებითი აზრი მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ ღრმად გაიაზროს სწავლებისა და შრომის პედაგოგიური ურთიერთმოქმედება, უნარიანად გამოიყენოს იგი პრაქტიკაში.

ახალ სასწავლო წელს ათეულ ათასობით უფროსკლასელი დაეუფლება მუშის პროფესიებს. საწარმოებში საწარმოო სწავლებას გაივლიან 11-წლიანი სკოლების მეცხრე კლასების მოსწავლეებიც. მარტო მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა საამქროებში 30 ათასამდე მოსწავლე მოვა. და სწორად მოიქცა მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭო, ამ მიზნით საწარმოებში კიდევ ექვსი სასწავლო საამქრო და 83 სასწავლო უბანი რომ შექმნა. პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა პროფესიული მომზადების საქმეში სკოლას, მასწავლებლებს დახმარება უნდა გაუწიონ ყველა სახალხო მეურნეობის საბჭომ, ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

დიდი ამოცანები დგას სკოლა-ინტერნატების მასწავლებლებისა და აღმზრდელების წინაშე. ამ ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებათა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. 1965 წელს სკოლა-ინტერნატებში აღიზრდება სულ ცოტა ორმილიონნახევარი ბავშვი. სწორედ სკოლა-ინტერნატები, რომელთა აღსაზრდელები მუდამ გრძნობენ თავიანთ პედაგოგთა კეთილნაყოფიერ გავლენას, ქმნიან ყველაზე ხელსაყრელ შესაძლებლობებს კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდისათვის. საჭიროა, რომ სკოლა-ინტერნატები მომავლის სკოლების ნიმუშები გახდნენ, ეს კი უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მათი პედაგოგიური კოლექტივების ღონისძიებებზე.

ახლა ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები. ამ თათბირებზე განიხილავენ სკოლის გარდაქმნის საარსებო და დიდმნიშვნელოვან პრობლემებს. მასწავლებელთა ყურადღება მიპყრობილია სკკპ პროგრამის პროექტზე—ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანეს თეორიულ და პოლიტიკურ დოკუმენტზე.

ახალი სასწავლო წლისათვის რომ ვემზადებით, არ შეიძლება დავიიწყოთ აგრეთვე იმათი საჭიროებანი, ვისაც მინდობილი აქვს ჩვენი ბავშვების განათლება და აღზრდა. მასწავლებელს სახალხო განათლების ხელმძღვანელი მუშაკების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის მხარდაჭერისა და ზრუნვის იმედი უნდა ჰქონდეს. მუდამ უნდა ვწვდებოდეთ სკოლების მუშაობას, ვუწევდეთ მათ საჭირო დახმარებას და ამასთან მაქსიმალურად ვზრუნავდეთ მასწავლებლებისთვისაც, მათი იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებისათვის, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

„სახალხო მასწავლებელი, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი მასწავლებელთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე, — პ ა რ ტ ი ი ს მ თ ა ვ ა რ ი დ ა ს ა ყ რ დ ე ნ ი ა ხ ა ლ ხ ი ს კ უ ლ ტ უ რ ი ს ა მ ა ღ ლ ებ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ა შ ი, პ ა რ ტ ი ი ს ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ი თ ა ნ ა შ ე მ წ ე ა ა ხ ა ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა ღ ზ რ დ ა შ ი ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ი ტ რ ა დ ი ც ი ე ბ ი თ, მ ა ღ ა ლ ი კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი შ ე გ ნ ებ ულ ობ ი ს ს უ ლ ი ს კ ვ ე თ ებ ი თ“.

განა შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ საბჭოთა მასწავლებლები გაამართლებენ პარტიისა და ხალხის დიდ ნდობას — აღზრდიან და მოამზადებენ იმ ადამიანთა განათლებულ თაობას, რომლებმაც უნდა აშენონ კომუნიზმი და იცხოვრონ კომუნიზმში!

PRAVDA

21/VIII მოწინავე.

ᲛᲔᲪᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

რუსთაველ ცენტრალ ჟურნალ „ლენინგრადი“ — ლენინგრადი, რომელიც მოწინავეობს ხელოვნებისა, ლიტერატურისა, ... ყოველ-თვიურად — ოთხ ენაზე — ... ბრძანებაში XXII ... ... საქართველოს კპ XXII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ვალდებულებანი. მიმდინარე წლის შვიდ თვეში ჩვენმა ქვეყანამ გეგმის გადამეტებით მიიღო 16.594 ტონა ცემენტი, ვალდებულებით კი გათვალისწინებული იყო 15 ათასი, და 15.956 კვადრატული მეტრი საშენი ფიბროლითი, ნაცვლად 10 ათასი კვადრატული მეტრისა. შრომის ნაყოფიერება გადიდდა 5,8 პროცენტით, ვალდებულებით კი გათვალისწინებული იყო 1 პროცენტით. ტონა ცემენტის თვითღირებულება შემცირდა 4,4 პროცენტით ნაცვლად 2 პროცენტისა.

სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მუშებში. მათ გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს: სკკპ XXII ყრილობისთვის გამოუშვან გეგმის გადამეტებით 4.000 ტონა ცემენტი და 5.000 კვადრატული მეტრი საშენი ფიბროლითი, ხოლო საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის გახსნისათვის — 8.000 ტონა ცემენტი და 4.000 კვადრატული მეტრი ფიბროლითი.

რუსთაველი მეცემენტეები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს. მათ 7 თვეში დაამზადეს 7.852 ტონით მეტი ცემენტი, 8.000 ტონით მეტი კლინკერი და 1717 კვადრატული მეტრით მეტი ფიბროლითი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. დაგროვებამ შარშანდელს 185 ათასი მანეთით გადააჭარბა. (საქდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲡ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). ამ დღეებში ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკას (დირექტორი ა. ჯანაშია) გადაეცა ტრესტ „საქართველოს ჩაისა“ და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 1.050 მანეთი.

ჩაის ფაბრიკამ მეორე კვარტალში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,8 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 106.1 პროცენტით. გამოშვებულ პროდუქციაში უმაღლესი და პირველი ხარისხის ხვედრითი წონა 70 პროცენტს შეადგენს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 56,7 პროცენტისა. გამოშვებულია 83 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

— ჩვენი კოლექტივი, — თქვა ა. ჯანაშიამ, — ამ ჯილდოებს ღირსეულად დაიფასებს, მეტი მონდომებით იმუშავებს, რათა ახალი წარმატებებით შეხვდეს პარტიის XXII ყრილობას.

ახალი ვალდებულებები იკისრეს ლაბორანტმა დ. გვილიამ, მუშამ ჯ. შენგელაიამ, ზეინკალმა მ. როგავამ, ფაბრიკის კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ნ. ახსავამ.

ფაბრიკის კოლექტივმა პირობა დადო წლიური გეგმა შეასრულოს 1 ოქტომბრამდე და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს 50 ტონა მაღალი ხარისხის ჩაის პროდუქცია.

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲕ!

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობათა რიცხვში შედის მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკა № 29. მას აშენებდა ჭიათურის მარგანმშენის ტრესტის ჭიათურმშენის სამმართველოს კოლექტივი. მშენებლებს უნარიანად უძღვებოდა მესამე სამშენებლო უბნის უფროსი, გამოცდილი მშენებელი მიხეილ იაკუბა. აქ თავი გამოიჩინეს ლენინის ორდენოსან გ. ქუცაცაძის, გრ. ჯობნელიძისა და ო. ვეფოლაშვილის კომუნისტური შრომის კომპლექსურმა ბრიგადებმა. ისინი დღედაღამ მუშაობდნენ, რომ ფაბრიკის მშენებლობა დაემთავრებინათ. მათმა მონდომებამ, ნებისყოფამ და მიზანსწრაფვამ გაიმარჯვა — ფაბრიკის მშენებლობა ძირითადად მშენებლის დღესათან დაკავშირებით დამთავრდა.

მაღე გამამდიდრებელი ფაბრიკა № 29 მშობლიურ მეტალურგიას მისცემს მაღალხარისხოვან მარგანეცს, საწარმოო მიღწევებით შეხვდება პარტიის XXII ყრილობას.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). № 8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც თბილისის № 2 ფაბრიკის თანამოსაქმეებს ეჯიბრება, სასახელოდ ასრულებს პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

ქუთაისელმა მკერავებმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე, 11 აგვისტოსათვის შეასრულეს რვა თვის გეგმა. სექტემბრის ანგარიშში გამოშვებული დიდძალი სამკერვალო ნაწარმი. განვლილ პერიოდში გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5.3 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 4,6 პროცენტით, საწარმომ 32 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

ფაბრიკის კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა ავტომობილმშენებელთა მოწოდებას და ენერგიული ბრძოლა გააჩაღა საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის. აგვისტოს პირველ ნახევარში გათვალისწინებული 91 პროცენტის ნაცვლად პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებამ 95 პროცენტს მიაღწია.

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ

ᲚᲐᲒᲝᲛᲔᲯᲘ. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ სიმინდის აღება დაიწყო. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მშრომელები სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლესკენის რაიონის სოფელ არგუდანის მესიმინდეებთან.

წელს მეგობართა მაგალითისამებრ ბევრი რამ ახალი დანერგეს სიმინდის მოყვანის სამუშაოებში. კარგად მოუარეს ყანებს, და აი ახლა ნაამაგარს იმკიან. მათ უკვე 7 ჰექტარზე აიღეს სიმინდი. მოსავალს კარგი პირი უჭირს.

— უთუოდ შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებას, სასახელო მაჩვენებლით შევხვდებით პარტიის XXII ყრილობას, — ამბობენ სოფელ შრომის კოლმეურნეები.

სიმინდის მოსავლის აღებას შეუდგნენ სოფლების ჭაბუკიანის, ყარსუბნისა და არეშფერანის კოლმეურნეობები.

ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲫᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). წელს შედარებით ადრე მომწიფდა სიმინდი. კოლმეურნეობები უკვე შეუდგნენ მოსავლის აღებას. გასულ წელთან შედარებით ერთიორად მეტ სიმინდს იღებენ. სიმინდი აღებულია 44 ჰექტარზე. მოსავლის აღებაზე შვიდი კომბაინი იმუშავებს.

სოფელ კინდოლის კოლმეურნეობაში სიმინდის აღებას კომბაინით პირველი შეუდგა მექანიზატორი დ. მამუკელაშვილი. პირველ დღეს კომბაინმა შეფერხებით იმუშავა, სიმინდით დატვირთული ლაფეტის კომბაინიდან მოხსნას და გადატვირთვას ბევრი მუშახელი დასჭირდა, რაც ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. მექანიზატორმა მამუკელაშვილმა ლაფეტს წინიდან გაუკეთა თვალი, რის შედეგადაც ამ სამუშაოს ახლა ოთხი კაცი ასრულებს და ზრომის ნაყოფიერება დიდად გაიზარდა.

უფრო მეტი საზრუნავი გაუჩნდა სოფელ იყალთოს კოლმეურნეობაში რესპუბლიკის დამსახურებულ მექანიზატორს გ. გოგოლაშვილს. კომბაინით

200 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘ. (საკ. კორ.). დურიფშელი მეჩაიეები წარმატებით ანაღდებენ პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. მათ 14 აგვისტოსათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. 16 აგვისტოს ჩათვლით დურიფშელმა მეჩაიეებმა ჩაის ფაბრიკას ჩაბარეს 1.706 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.600 ტონისა.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდა მეთექვსმეტე ბრიგადა, რომელსაც სათავეში უდგას სახელგანოქმული მეჩაიე, კომუნისტი ზ. არძინბა. ბრიგადამ წარმატებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება და სახელმწიფოს მიჰყიდა 36 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ნედლეული.

მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში თავი გამოიჩინეს სონია საქანიამ, დიმიტრი ხუპოროიამ, ალტენია არძინბამ და სხვებმა. თვითეულმა 7-8,5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

დურიფშელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 200 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.

ᲮᲕᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲐᲥᲐ

ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔ. (სპეც. კორ.). ახლა ჩაის პლანტაციებში დაძაბული ღონეებია. აგვისტოს მაჩვენებლები ძირითადად გადაწყვეტს წელს ნაკისრი ვალდებულების შესრულების ბედს. ეს კარგად აქვთ შეგნებული სოფელ ბესლახუნის კოლმეურნეობის მეჩაიეებს. განსაკუთრებით გაძლიერდა კრეფის ტემპი პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვის დღეებში.

ბესლახუნელებმა გადაწყვიტეს სეზონის ბოლომდე მოკრიფონ 370 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წინათ ნაკისრი 350 ტონისა, უკვე მოკრეფილი 340 ტონაზე მეტი. ჩაის კრეფაში თავი ისახელეს მეორე, მესამე, მეხუთე და მეექვსე ბრიგადებმა, რომლებსაც ი. ბერულავა, მ. ბგანება, ე. უბირია და ა. წუდია ხელმძღვანელობენ.

პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ბევრი მეჩაიე დაწინაურდა. მარჯვენას უქნენ თ. გოგუას, რომელმაც წარმატებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება. მან ერთ დღეს მოკრიფა 292 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ. სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეები ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. 18 აგვისტოსათვის მათ გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. 618 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 618,4 ტონა ჩაის მწვანე ნედლეული.

ბობოყვათელმა მეჩაიეებმა იკისრეს სეზონის დამთავრებამდე მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 100 ტონა „მწვანე ოქრო“. ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილია ოთხ ტონამდე ჩაი.

ᲓᲘᲓᲛᲘᲡ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ

ᲛᲝᲕᲘᲓᲐ, დამწიფდა პირველი ყურძენი დიღმის ცის ქვეშ. მზემ დაამაქრა, სხივით აალფილა „შასლას“ დამკრახული მტევნები.

ამ საადრეო ჯიშის ყურძენს მალე მოჰყვება „ქიშმიშის“, „თავრიზის“, „თითას“, „შავთითას“, „ბუდეშურის“, „თამარეულის“, „მუსკატის“, „რქაწითლის“, „ჩინურის“ და „გურული „მწვანის“ მწიფობა.

კარგად ხარობს და ტკბილი ნაყოფით უმასპინძლდება თბილისის მშრომელებს დიღმის ვაზი. არასოდეს ასე მსხმოიარე არ ყოფილა იგი როგორც ახლა.

შემოდგომა კარზე დგას და ხილთა ქებით გვიახლოვდება. სუფრის ყურძენი „შასლა“ კი საშემოდგომო კალენდარს არ უცდის, უფრო ადრე იწყებს რთველის დღეებს.

ეს ნანატრი დღეც, ქართული რთველის დღეც სწორედ გუშინ, 21 აგვისტოს დადგა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში.

— შარშანდელმა ყინვებმა ძლიერ დააზიანეს ვენახი. არც ხეხილებს დასდგომიათ კარგი დღე. მაგრამ ვუშველეთ, ვაზები დავნეკეთ და სიცოცხლე შევუნარჩუნეთ, ორჯერ დავაპურეთ მინერალური და ორგანული სასუქით, ამასთან დამატებით გამოვკვებეთ ნიადაგი. არც წყალი დაგვიკლია, არც ყოველდღიური ზრუნვა. იხარა ვაზმა და როგორც ხედავთ, ჩვენც გაგვახარა ჩინებული მოსავლით, — თქვა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მეურნეობის დირექტორმა პ. სოხაძემ.

დილითვე დაიწყო რთველი და მოკრეფილი ყურძნის სასწრაფოდ მიწოდება დედაქალაქის მოსახლეობისათვის. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ მომმხმარებლებს ურიგოდ შეეძლოთ ეყიდათ დიღმური ვაზის წლევანდელი ნაყოფი თბილისის სავაჭრო მაღაზიებში.

• • •

ᲐᲗᲘᲝᲓᲔ წლის წინათ დღევანდელი ვენახების ადგილას ბუჩქსაც ვერ იპოვნიდით. ველზე დაქროდა ავჭალიდან მონაბერი ქარი. ზამთარში სუსხი, ზაფხულში კი გვალვა ტრუსავდა ამ უკაცრიელ მიდამოს, სადაც გადამხმარ ბალახს მიიძოვდა თრიალეთისკენ მიმავალი ფარა.

აბა ახლა შეხედეთ! 680 ჰექტარზე გადაჭიმულია მეურნეობის ფართობი. აქედან 450 ჰექტარ მიწას რწყავს არხებით მონადენი მტკვარი. მეურნეობაში ვენახი გაშენებულია 136 ჰექტარზე, ხეხილი, უმეტესად კურკოვანი მცენარეულობა — 50, ხოლო დეკორატიული პარკი — 10 ჰექტარზე.

თბილისის სიახლოვეს ქალაქური ელფერი შემატა ამ ახალ მეურნეობას. დიღმი უკვე ბაღნარ დაბას ჰგავს თავისი სამკაულით. სასუფრო ყურძენთან ერთად იგი დედაქალაქს აწვდის ახალ ბალს, ალუბალს, ატამს, ჭერამს და უთვალავ ცოცხალ ყვავილს, მათ შორის შესანიშნავ ვარდებს, ნაირფერ მიხაკებს, შროშანებს, ნარგიზებს, იებს, ყოჩივარდებს, ტიტებს და ა. შ.

მნახველის ყურადღებას იქცევს ამ მიდამოთა სიმწვანე. ტანი აუყრიათ ახოვან ალვის ხეებს, რომელთაც ძმობილებად უდგანან წინ მარადმწვანე კვიპაროსები. გზატკეცილების ორივე მხარეს ამშვენებენ ეს ძვირფასი მცენარეები. ისინი ქმნიან ქარსაცავ ზოლს, რომლის სიგრძე 17 კილომეტრს აღემატება.

ეს გაკვრით. ახლა კი რთველი დაიწყო და უნდა ნახოთ რა სიხარულით კრეფენ ყურძნის პირველ მოსავალს სტუდენტები, მუშა-მოსამსახურეები. გუშინ აქ ხუთივე უბნიდან მოვიდნენ ყურძნის საკრეფად. შევეკითხეთ მეურნეობის დირექტორს და უბნის უფროსებს მოწინავე ადამიანებზე და მათ ვრცელი სია მოგვცეს შრომაში წარჩინებულთა.

დავასახელოთ ზოგიერთი მაინც, ვინც უფრო თავი გამოიჩინა ბაღვენახების მოვლაში. ასეთებია: ბელა ასათიანი, ზურაბ ჭელიძე, ვაჟა გერმესაშვილი, რევაზ ყარანგოზიშვილი, ნიკოლოზ თვაური, შოთა თურმანიძე, ბიძინა ნემსიწვერიძე, ზიგფრიდ ბებია, ვანო ზაქაიძე. აგრონომებიდან კი ბენედიქტე კიტურაძე, ვაჟა კოპალეიშვილი, რეზო დომიანიძე, პანტელეიმონ ქიქავა და მთავარი აგრონომი ირაკლი ფავლენიშვილი.

მეურნეობამ წელს საგრძნობი გადამეტებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხილის ჩაბარების გეგმა, 37,4 ტონის ნაცვლად ჩააბარა 45 ტონა და აპირებს დამატებით ჩააბაროს კიდევ 10 ტონა კურკოვანი ხილი.

მაგრამ მთავარი მაინც ყურძენია ამ მეურნეობაში. შარშან მისი მოსავალი 200 ტონამდე აღწევდა. წელს კი გეგმით 700 ტონა ყურძნის ჩაბარებაა ნავარაუდევი. მეურნეობა ფიქრობს სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად 800 ტონაზე მეტი ყურძენი ჩაბაროს სახელმწიფოს.

დავალება შესრულებული იქნება. ასეთია დიღმელთა გადაწყვეტილება.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (მარცხნივ) მოწინავე მკრეფავი ნანული გოგიჩაიშვილი, რომელმაც რთველის პირველ დღეს მოკრიფა 500 კილოგრამი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 კილოგრამისა. (მარჯვნივ) მუშა დალი გეგენავა, № 1 უბნის უფროსი, აგრონომი ვაჟა კოპალეიშვილი, მუშები სალომე პაპუნაშვილი და როლანდ არჩვაძე ყურძნით სავსე ყუთებს ამზადებენ დედაქალაქის მაღაზიებში გასაგზავნად.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 21 აგვისტო. (საქდესი). დღეს მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიხსნა იაპონიის საფეიერო მოწყობილობისა და ხელოვნური ბოკოს ნაწარმის გამოფენა.

გამოფენის გახსნაზე გამოვიდა საგარეო ვა

დიდი საუბარი ბედნიერ მომავალზე

ჩვენ გვინდა შოგრთხრა-ოთ ერთ საინტერესო საუბარზე, კომუნისტთა გულღია საუბარზე, იმაზე, თუ რა დიდი და შემოქმედებითა შრომით ცხოვრობს დღეს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ლამაზი რაიონი — ლამაზი თავისი ბუნებით, შახტებითა და ველშინდვრებით, შრომით დამშვენებული ადამიანებით.

ემზადებიან რა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის, ტყიბულელი მშრომელები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის გზით მიმავალი სამშობლოს აყვავებასა და ძლიერებაში, მისცენ ქვეყანას მეტი ქვანახშირი, მეტი ჩაი, მარცელეული, მეცხოველეობის პროდუქტები...

სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების გაცნობამ, ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების კრებებზე განხილვამ უფრო მეტძოლი სული ჩაუდგა მათს შრომას, უფრო შინაარსიანი და საინტერესო გახადა მათი ცხოვრება.

* * *

მთელი კვირის მანძილზე დასრულებულმა მიწამ დღეს ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა. ტყიბულის წყლის აბეზარი ხმაური ადამიანთა ფეხის ხმამ დაფარა. ვეება ოქროსფერი ბურთი აღმოსავლეთიდან კვლავ გამედულად ამოცურდა ცაზე და არემარე აანათა, მაგრამ მას მალე ღრუბლის საბანი შემოეხვია და მიეძინა.

ახლადაგებულ კულტურის სახლის შესასვლელთან პარტიული კონფერენციის დელეგატები გროვდებოდნენ...

— დღეს წვიმა მოვა! ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა მათგანმა.

— იქნება აგრილდეს, თორემ სიცხეს მეც შემაეუხა და ჩემი სიმინდებიც, — გამოეხმაურა მეორე.

— შენ დარაბაზიც მაგრად დაგიხეი, 100 ცენტნერ მარცვალს რომ გვპირდები, მოიყვან თუ?! — გიიცინა ახალგაზრდა მეშახტემ.

— მე ას ცენტნერსაც მოვიყვან და მეტსაც, ჩემმა სიმინდმა მკლავის სიმსხო ტარიები დაიყარა, შენს ამოტეხულ ქვანახშირს კი ბენზინიც რომ გადაასხა, ცეცხლი მაინც არ გაუჩნდება!

ამხანაგების ხუმრობაზე ყველა გულიანად ხარხარებდა...

* * *

— საანგარიშო პერიოდში უდიდესი ისტორიული მოვლენები მოხდა ჩვენს ქვეყანაში, — ასე დაიწყო მოხსენება პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ლომაძემ. — მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი და სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალური თათბირები, აღამიანის პირველი და ამ დღეებში მეორე ბრწყინვალე გაფრენა კოსმოსში. სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების გამოქვეყნება — ყველაფერი ეს მიმართულია ჩვენი სამშობლოს აყვავებისა და ძლიერების განმტკიცებისაკენ, საბჭოთა ადამიანების ბედნიერი მომავლისაკენ.

რა მუშობა გასწია პარტიის რაიონულმა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში, როგორ დარაზმა რაიონის მშრომელები მათ წინაშე მდგომი საპატიო ამოცანების შესასრულებლად?

სკკპ პროგრამის პროექტში ნათქვამია, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს სამეურნეო ხელმძღვანელობის განუწყვეტელ სრულყოფას. მეურნეობის დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის ყველა რგოლში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალურმ, შრომითი და ფინანსური რესურსებიო, ბუნებრივ სიმდიდრეთა ყველაზე რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას და ზედმეტი დანახარჯების აღმოფხვრას. ამ ამოცანების განხორციელებისათვის, მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის ბრძოლა ტყიბულელ მშრომელთა ღირსების საქმეა. ტყიბულელმა მეშახტეებმა მიმდინარე წელს ქვანახშირის ამოღების შვიდი თვის დავალება გადაჭარბებით შესრულეს. გეგმის ზეგით ამოიღეს 17.000 ტონა ქვანახშირი, ეს კი 5.000 ტონით მეტი, ვიდრე მათ დაალდებულება იკისრეს, რომ მთელი წლის მანძილზე გეგმის ზეგით ამოეღოთ. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირდა 10 კაპიკით. ამ წარმატებებისათვის, როგორც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს, ტყიბულქვანახშირის ტრესტს პირველი ფიქალი პრემია მიენიჭა და გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. საანგარიშო პერიოდში ნაყოფიერად იმუშავეს ტრესტში შემავალმა ცალკეულმა შახტებმა და საწარმოებმა, ორბრიანის და ტყიბულის ჩაის ფაბრიკებმა.

— მძლავრ მრეწველობასთან ერთად, — მითითებულია სკკპ პროგრამის პროექტში, — აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა. პროექტით გათვალისწინებულია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა გაიზარდეს 10 წელიწადში დაახლოებით ორნახევარჯერ, ხოლო 20 წელიწადში — სამნახევარჯერ. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ტყიბულელ მშრომელებსაც. ამაზე მეტყველებენ ფაქტები. რაიონში სწრაფი ტემპით კეთდება სოფლის მეურნეობა. ჩაი კოლმეურნეთა საყვარელი კულტურა გახდა. საანგარიშო მოხსენებიდან მოყვანილი ციფრები იმაზე მიუთითებენ, თუ როგორ გაიზარდა უკანასკნელ წლებში ტყიბულის რაიონში ჩაის წარმოება. საკმარისია აღინიშნოს, რომ თუ 1956 წელს კოლმეურნეობებში მთლიანად 1.556 ტონა იყო მოკრეფილი, მეჩაიეებმა გასულ წელს ორჯერ მეტი ჩაი მოკრიფეს — მოსავალმა მთლიანად 3.238 ტონა შეადგინა. ნაყოფიერად იმუშავეს აქაურმა მესამინდეებმაც. გასულ წელს სიმინდის საშუალო მოსავლიანობის მიხედვით რესპუბლიკაში მეორე ადგილი დაიკავეს, წელს კი მოსავალს გაცილებით უკეთესი პირი უჩანს.

მეცხოველეობის დარგის აღმავლობაზე მეტყველებს ის სასიხარულო ფაქტი, რომ გასული წლის კარგი შედეგებისათვის ტყიბულის რაიონს საქართველოს კომპარტიის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა. დელეგატები აგრეთვე კმაყოფილებით აღნიშნავდნენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მოიპოვეს ხილს, აბრეშუმის პარკს და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების წარმოებაში.

ყურადღების ცენტრში პარტია აყენებს შრომისადმი სიზოგადოების ყველა წევრის კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებას. რაიონის შახტებსა და კოლმეურნეობებში სულ უფრო და უფრო ფართოდ ინერგება კომუნისტური შრომის ახალი ფორმები და მეთოდები. იზრდება კომუნისტური შრომის ბრიგადების და დამკვრელების რიცხვი, გამრავლდნენ შუტერები. ბევრი მათგანი ამ კონფერენციის მონაწილეა.

მაგრამ დელეგატები ამავე დროს გულისტკივილით ლაპარაკობენ ტყიბულქვანახშირის ტრესტისა და რაიონის საბრეწველო საწარმოთა, კოლმეურნეობათა მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებზე, ხელშემშლელ მიზეზებზე.

— შეუწყარებელია, — ამბობენ ისინი, — რომ გასულ წელთან შედარებით ზოგიერთ შახტში მდგომარეობა გაუარესდა. რაციონალურად ვერ ვიყენებთ საწარმოო სამძღვარეებს. გაიზარდა იმ უბნებისა და ცვლების რიცხვი, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. წელს 19 საექსპლოატაციო უბნიდან შვიდი თვის დადგომა ვერ შეასრულა 11 უბანმა. ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა, ხოლო ორჯონიკიძის სახელობის შახტმა ქვანახშირის ხარისხი გაიუარესა. შახტებში კვლავ ადგილი აქვს უსაშინრობის წესების დარღვევას.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი? პირველადი პარტიული ორგანიზაციების სუსტი, არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, პარტიის რაიონული კომიტეტის არასაკმარ დამბარება!

ლენინის სახელობის შახტის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ტ. გაბრიჩიძემ სამართლიანად უსაყვედურა პარტიის რაიონულ კომიტეტს, რომ იგი გატაცებულია გეგმების შესრულების შესახებ ციფრობრივი მონაცემების შეწყვეტით და ნაკლებ ყურადღებას აქცევს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის მიმდინარეობას. მაგალითად აღნიშნა, რომ შახტში მომუშავე კომკავშირელებთან და ახალგაზრდებთან სათანადოდ არ წარმოებს აღმზრდელობითი ღონისძიებანი.

— ჩვენთან ქვანახშირი მაღალნაცრიანია, — თქვა ორჯონიკიძის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანმა ნ. ცბილაძემ, — ამიტომ იგი ხშირად საწყობში ამოგვაქვს და ვახდენთ მის გამდიდრებას. ეს მეტად ძვირი ჯღება. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩვენს საჩეკში დადგმულიყო ქვანახშირის გამამდიდრებელი აგრეგატი, მაგრამ ამ საქმის დაჩქარება არ მოხერხდა და საპრეტექტო ორგანიზაციებს ჯერ სამუშაო ნახაზებიც არ გაუმზადებიათ. პარტიას მიაჩნია, რომ პროდუქციის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესება სავალდებულო მოთხოვნაა, და აყენებს ამოცანას — საბჭოთა საწარმოების პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე საუკეთესო კაპიტალისტურ საწარმოებში.

დელეგატთა უმრავლესობამ — სტალინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. შარვაძემ, ლენინის სახელობის შახტის უფროსმა ა. ბასილაძემ, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველმა ლ. რატიანმა, სტალინის სახელობის შახტის № 2 უბნის უფროსმა ი. ორჯონიკიძემ და სხვებმა ილაპარაკეს იმაზე, რომ შახტებში შეუწყვარებლად ჰანინურდება ბიდრაგლიკური ვსების მეთოდის და სხვა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვა.

— სკკპ პროგრამის პროექტით, — ამბობენ ისინი, — გათვალისწინებულია ყველგან ყოველი ღონისძიებით შეეუწყოთ ხელი ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. ჩვენთან კი ეს არ იგრძნობა. ამაში ბრალი მიგვიძღვის როგორც ჩვენ, ისე პარტიის რაიონულ კომიტეტს.

რაიონის სოფლებიდან მოსულმა დელეგატებმა ხაზი გაუსვეს იმ შეუწყნარებელ ჩამორჩენას, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ცალკეული დარგების განვითარებაში.

— ახალგაზრდა ჩაის პლანტაციები გამაჯერებულია ახალსოფლის, ბუეთის, ამტისის, კურსებისა და ძროვნის კოლმეურნეობებში.

— ხეხილის ბაღებს ცუდად უვლიან ახალდაბის, კოკის კოლმეურნეობათა წევრები!

—ზოგიერთ კოლმეურნეობაში ძროხის წველადობა შემცირდა!

ყოველივე ამის გამო კვლავ აღინიშნა, რომ საკრძოა სოფლად განსაკუთრებით ამაღლდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ფუნდამენტალური როლი, გაძლიერდეს პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობა და დახმარება. აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ბევრგან არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პროპაგანდისტები და აგიტატორები, სუსტად წარმოებს აღმზრდელობითი მუშაობა სოფლის მშრომელთა შორის.

— სკკპ ახალი წესდების პროექტში, — აღნიშნეს კონფერენციაზე, — ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ ვინ შეიძლება იყოს პარტიის წევრი. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა კომუნისტთა ერთი ნაწილი თავს აროდებს საზოგადოებრივ შრომას, არდგებეს დისციპლინას, სჩადის დანაშაულსაც კი. მოკამათეებმა მკაცრად გააკრიტიკეს ის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც პარტიის რიგებში ხელოვნურად, შეუმოწმებლად მიიღეს ამხანაგები.

* * *

ბოლოს უფრო შინაარსიანი გახდა კამათი, როცა კონფერენციის მონაწილეებმა სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების ირგვლივ მოხსენებები მოისმინეს. ყველა დელეგატი უკვე კარგად იცნობდა ამ მნიშვნელოვან დოკუმენტებს და კონფერენციაზე მოვიდა თავისი წინადადებით, თავისი შენიშვნით.

სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ დელეგატები დ. მორჩაძე, რ. მხეიძე, შ. ფრანგანი, ვ. ბერობე, ბ. გოგოლაშვილი და სხვები. მათ გააკეთეს ზოგიერთი შენიშვნა ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევი მუშაკების ვადების, სკკპ ორგანების წევრად მიღების, პრემიებისა და წახალისების შესახებ.

კონფერენციამ დაადგინა:

„ტყიბულის რაიონის XXXIII პარტიული კონფერენცია ეროსულოვნად იწონებს სკკპ ახალი პროგრამის პროექტს“.

კონფერენციამ დაავალა პარტიის რაიონულ კომიტეტს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს — მოაწყონ მშრომელთა შორის პროგრამის პროექტის ფართო პროპაგანდა, მისი ღრმად შესწავლა და განხილვა.

მსგავსი დადგენილება მიღებულია სკკპ წესდების პროექტის შესახებ მოხსენების გამო.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა გ. ი. ქადაგიძემ. მან კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების ღრმად შესწავლაზე და იმ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაზე, რომლების წინაშეც ტყიბულელი მშრომელები დგანან.

— ღირსეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის გამარჯვების დიად საქმეში — ასეთია რაიონული პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილება.

კონფერენციამ განაახლა პარტიის რაიკომის შემადგენლობა, აირჩია აგრეთვე სარევიზიო კომისია და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატები.

* * *

შედგა ახლადარჩეული პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კპ ტყიბულის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია კ. ლომაძე. მეორე მდივნად — ჯ. გოცირიძე, ხოლო, მდივნად — ე. გრძელიშვილი. აირჩია აგრეთვე რაიკომის ბიუროს 9 კაცის შემადგენლობით და შექმნა ოთხი მუდმივმოქმედი კომისია.

ალ. ზურაშვილი,
ვ. ცირეკიძე.

ტყიბული, 19 აგვისტო.

წინასაყრილობო ტრიბუნა

განვიხილავთ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს

ს ი ბ ი ნ ლ ი ს უხვი მოსავლისათვის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში ჩაებნენ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მესამინდეები. ბრიგადამ, რომელსაც ილია ჩოღოშვილი უძღვება, იკისრა 25 ჰექტარი სიმინდის ყოველ ჰექტარზე მოიყვანოს 112 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, გიორგი რუაძის ბრიგადამ კი 30 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე 110 ცენტნერი სიმინდის მოყვანა იკისრა.

ახლა გულს ახარებს ტაროებით დახუნძლული სიმინდის დამუშლებული ღეროები. კიდევ რამდენიმე დღე, და ნაამაგარს მოიმკიან ჩუმლაყელი მშრომელები.

სურათზე: ილია ჩოღოშვილი (მარცხნივ) და გიორგი რუაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი გამარჯვებებისაკენ

შ. ფუტკარაძე,
შუახევის რაიონის სოფელ დღვანის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ყოველ ახალ დღეს ახალი ბედნიერება მოაქვს ჩვენი ადამიანებისათვის. სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაცია, სწრაფი ელექტროფიკაცია, თანმიმდევრული და ყოველმხრივი ქიმიზაციის განხორციელება მშრომელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. პარტია მრეწველობის განვითარებასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას.

სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების გამომქვეყნებამ სოფლის მშრომელებში ახალი ენთუზიაზმი გამოიწვია. ჩვენებით რა წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადაეწყვეტა ტეხ წელს ქვეყანას მივაცეთ 31 ტონა ხმელი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 ტონისა, გავზრდით სხვა კულტურების მოსავლიანობასაც. ჩვენი სოფლის კომუნისტები, ყველა მშრომელი პირნათლად გაანადღებენ ნაკისრ ვალდებულებებს და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდებიან პარტიის XXII ყრილობას.



სკკპ მომავალი ყრილობისათვის მზადების დღეებში დიდი შრომითი აღმავლობაა თბილისის პლასტმასის ქარხანაში

მეტი პლასტმასის ნაწარმისათვის ბრძოლა უფრო გაჩაღდა მას შემდეგ, რაც ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტებს. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ბგერი მუშა. ამ სურათზეა საწნეხი საამქროს ერთერთი მოწინავე მუშა ჯონდო გინტური, რომელიც საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სკოლაზე ზრუნვა სპ ერთო-სახალხო საქმეა

დასილოსებული მუენეგლოგა

მდინარე მტკვარს ზემოდან გადმოაყურებს ჭობისხევი. ლამაზია კაკლის ხეებში ჩაფლული ეს სოფელი.

შუადღე იქნებოდა, სოფელში რომ მივედი. ცხელოდა. ხეტყის სახერხთან გზის პირას კაკლის ჩრდილში შეეზერტიან და კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიკითხე.

— სოფელში არ არის, მთაში უნდა წასულიყო, — გვითხრა ერთმა.

— ვერც სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს ვნახავთ?

— დვირში იკითხეთ, სასოფლო საბჭო იქ არის.

— დვირში!? შორს არის?

— ოთხ კილომეტრამდეა.

— ვის კითხულობთ, შვილებო! — გამოგვეხმაურა ბაზედ მიმავალი მოხუცი, უცნობი რომ დაგვინახა, და შეჩერდა.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს!

— ათასგან აქვს საქმე და სად იქნება, ვინ იცის.

ველოსიპედით ჭაბუკმა ჩაიქროლა. მოხუცმა მას ღიმილით გაყოლა თავი და მერე ჩვენ მოგვიბრუნდა. მომლიმარე სახე მოღუშდა. ეტყობოდა რაღაც აწუხებდა მოხუცს. ჩვენ ცნობისმოყვარეობამ დაგვძლია.

— ხომ არაფერი გეწყინა, ძია კაცო,

— რა უნდა მწყინდეს! ამ ჩვენი სოფლის სკოლის შენებლობის გაჭიანურება მაწუხებს. იმ ბიჭზე შემახსენდა, ველოსიპედით რომ ჩაიქროლა. გუშინდელივით მახსოვს: სკოლის შენობის სანერგველს ვჩერდით, იქ შეგიტყეთ, — ნიკაანთ ბაჟი შეეფინათო. მას შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტია. დიდი სამამულო ომი გადარჯვეთით ჯავგიტანეთ, მალე ომისაგან მიყენებული ჭრილობებიც მოვიშუშეთ, ჩვენმა ქვეყანამ შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწია კულტურულ და სამეურნეო შენებლობაში, კოსმოსში მეორედ გაფრინდა საბჭოთა ადამიანი, ცეროდენა ბიჭი ახლა ჯარმოგლილი ვეტერანია ვაქცინა, სკოლა კი ისევ ასაშენებელია. რაც აშენებული იყო ისიც დაინგრა უყურადღებობით.

— ბბა სად აშენებდით?

— აგერ აქვე, ხელმარცხნივ!

გაოცებული დავრჩით, იქაურობა არქეოლოგიური გათხრების ადგილს უფრო ჰგავდა, ვიდრე შენებლობას.

მართლაც, ჭობისხევში ამ ოცდიდ წლის წინათ (რომელ წელს და ვინ აშენებდა, ზუსტად აღარავის ახსოვს) დაუწყიათ სკოლისათვის ახალი შენობის აგება. ორ მეტრამდე კედლებიც ამოუყვანიათ, და შენებლობა შეჩერებულა. უკვე ამდენი ხანი გასულა და შენებლობის განახლება აღარავის მოსვლია ფიქრად, მაშინ, როცა სოფლის რვაწლიანი სკოლა მეტად ვიწრო და შეუფერებელ ბინაშია.

მაშინ დვირის სასოფლო საბჭოს სესიამ განიხილა სკოლის შენებლობის განახლების საკითხი და დახმარება სთხოვა ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომს. მაგრამ ძვრა არ არ არის.

კვლავ დასილოსდა კეთილი საქმე.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მასების სათავეში

ი ს ი ნ ი პირდაპირ მოგიდნენ აქ მანდგრებიდან და ბოსტნებიდან, ბაღებიდან და ვენახებიდან, სათიბებიდან და მეცხოველეობის ფერმებიდან. თვითეულმა მათგანმა დარბაზში მოიტანა გაკარგარებული მინდვრის ბუღი თუ ჩამაკრებული ხილის არომატი, აქვიფული რძის სურნელი თუ ფიცის ნავთობის სპეციფიკური სუნი.

120-მდე კომუნისტი დაესწრო თეთრი წყაროს მეხორცეობა-მერძევეობის საცდელ-საჩვენებელი სბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო საარჩევნო კრებას, რომელიც 4 საათს გაგრძელდა. კომუნისტები საქმიანად მსჯელობდნენ მეურნეობის აწმყოსა და მომავალზე.

პირველი ნაბიჯები

მხოლოდ ოთხთვენახევარი გავიდა ამ მეურნეობის შექმნის დღიდან. იგი პირველ აპრილს მოყალიბდა ადგილობრივი კოლმეურნეობის ბაზაზე.

საცდელ-საჩვენებელი! რამდენი რამის მთქმელია ეს ორი სიტყვა. იგი ნიშნავს იმას, რომ ეს მეურნეობა უახლოეს ხანში უნდა გადაიქცეს შუქურად რესპუბლიკის სხვა საბჭოთა მეურნეობებისათვის, ყველაზე მოწინავე, სანიმუშო გახდეს. ამ მიზნისაკენ არის ახლა მიმართული მეურნეობის კომუნისტთა, მთელი კოლექტივის ძალები.

მომხსენებელმა — პარტკომის მდივანმა ი. აფციაურმა და კამათის მონაწილე კომუნისტებმა თავიანთ გამოსვლებში მოიყვანეს დამაჯერებელი ციფრები და ფაქტები იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ დაეხმარნენ პარტკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები დირექციას მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებაში, მეცხოველეობის განვითარებაში.

მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარდა საგაზაფხულო თესვა და სათოხნი კულტურების დამუშავება. ყველაფერი გაკეთდა ხილისა და ყურძნის მოსავლიანობის გასაღრიცხლად.

მეცხოველეები ყოველ ღ ღ ი ბ ე ს ურ ა ად ზრდიან პირუტყვის პროდუქტიულობას, ამრავლებენ თოვლს ზვინებს, იღებენ ნამჯას. უკვე გათობულია და პირუტყვის საღგომებთან მიზიდულია ათასი ტონა უხეში საკვები. კიდევ დაამზადებენ დიდძალ თივას, ჩალას, სილოსს.

კომუნისტთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანია სიმინდი. ეს კრებაზეც ჩანდა, როცა კამათის მონაწილენი სიყვარულით ლაპარაკობდნენ „მინდვრის დედოფალზე“. წელს მეურნეობაში დათესეს 800 ჰექტარი სიმინდი, აქედან 400 ჰექტარი — სასილოსედ. საშუალოდ ჰექტარზე — 350-400 ცენტნერ მწვანე მასას მიიღებენ.

კომუნისტები — წინ!

ამ პირველ წარმატებათა მიღწევაში დიდი როლი შეასრულა მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელშიც 139 კომუნისტია. ივი ყოველდღიურად აძლიერებდა ორგანიზატორულ მუშაობას, ამაღლებდა კომუნისტთა აგანგარდულ როლს, იბრძოდა სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობისათვის.

კომუნისტები ყველგან და ყველაფერში პირად მაგალითს უჩვენებდნენ. ვ. ბექაურის ბრიგადამ მემინდვრეობა შორის ციალისტურ შეჯიბრებში პირველი ადგილი დაიკავა და გარდამავალი ვიმპელი მიიღო. კარგად მუშაობენ კოლმეურნეობის ბრიგადიერები ა. ბრუთინოვი, გ. კოსტანიანი, გ. იაგუტიანი და სხვები. 25 აგიტატორი ეწევა აგიტაციას მუშების შორის. მექანიზატორებთან შინაარსიან საუბრებს აწყობს კომუნისტი აგიტატორი ი. ჩამურლიევი. ყველა სიამოვნებით უსმენს აგიტატორების ნ. ბერიძისს, ა. ისაგულოვის და სხვათა ცოცხალ საუბრებს. გამოდის კედლის გაზეთები, გამოყენებულია თვალსაჩინო აგიტაციის ბევრი საშუალება.

მაგრამ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისადმი ხელმძღვანელობაში, — აღნიშნავდნენ კამათის მონაწილენი, — განსაკუთრებით ახლა — მინდვრის დამამბულ სამუშაოთა დღეებში, — საკმაოა მეტი მოქნილობა. შეუწყნარებელია, — ამბობდნენ ისინი, — რომ ზოგიერთი აგიტატორი (მაგალითად, ა. ნაკმიდი) არათუ საუბრებს არ აწყობს, არამედ სამსახურებრივ მოვალეობასაც ცუდად ასრულებს.

ყურადღება რეზერვებს!

ბევრი კომუნისტის სიტყვებში იგრძნობოდა შეშფოთება იმის გამო, რომ მეურნეობის ყველა განყოფილება ვერ ართმევს თავს საწარმოო დავალებებს, სისტემატურად არ სრულდება წველადობის გეგმები სამღერეთისა და დუშანისის განყოფილებებში. ჯერკერობით ჩამორჩება ხორცის წარმოება და ჩაბარება.

მეურნეობის დირექტორმა გ. ბილიაევმა ასეთი შეკითხვა მისცა თეთრი წყაროს განყოფილების მმართველს გ. ხაჩატუროვს: რატომ აქვს განყოფილებას სმინდოს არასახარბიელო ნათესები მეძროხეობის პირველი ბრიგადის ქვემო ტერიტორიაზე, მაშინ როცა მის ზემოთ მოსავალს კარგი პირი უჩანს და ჰექტარზე სულ ცოტა 500 ცენტნერ მწვანე მასას მიიღებენ? ბრიგადირმა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას დუმილი არჩია.

ახლა მეურნეობაში ყოველ 100 ჰექტარ სათიბსა და სამოვარზე 15 ძროხა ჰყავთ, ხოლო საჭიროა ერთიორად მეტი. კრებაზე აღინიშნა, რომ ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით გამოყოფილია გაუმჯობესებული ჯიშის რამდენიმე ათეული უშობელი, რომლებითაც შეავსებენ 200 სული ძროხის დანაკლისს. გააძლიერებენ ხელოვნურ დათესვას. ააშენებენ სამრეხეს 400 სულისათვის, სადაც დაუბმელად შეინახავენ პირუტყვს. განახორციელებენ სამოვრების გაუმჯობესების ღონისძიებებს.

სბჭოთა მეურნეობამ კრლმეურნეობისაგან მეღორეობის დარგში არასახარბიელო მემკვიდრეობა მიიღო. ახლა მდგომარეობა სწორდება, დაქსაქსული ფარების ნაცვლად ჩამოყალიბდა მეღორეობის ორი ბრიგადა. „უშუალოდ ტყეში, სა-

ლოგიერ გათხრების ადგილს უფრო ჰგავდა, ვიდრე შენებლობას.

მართლაც, ჭობისხევში ამ ოცდიდ წლის წინათ (რომელ წელს და ვინ აშენებდა, ზუსტად აღარავის ახსოვს) დაუწყიათ სკოლისათვის ახალი შენობის აგება. ორ მეტრამდე კედლებიც ამოუყვანიათ, და შენებლობა შეჩერებულა. უკვე ამდენი ხანი გასულა და შენებლობის განახლება აღარავის მოსვლია ფიქრად, მაშინ, როცა სოფლის რვაწლიანი სკოლა მეტად ვიწრო და შეუფერებელ ბინაშია.

მაშინ დვირის სასოფლო საბჭოს სესიამ განიხილა სკოლის შენებლობის განახლების საკითხი და დახმარება სთხოვა ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომს. მაგრამ ძვრა არ არ არის.

კვლავ დასილოსდა კეთილი საქმე.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჟანონის კაცი“

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომმა შეამოწმა გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 14 აპრილის ნომერში დაბეჭდილი წერილი „ჟანონის კაცი“, რომელიც ეხება ხაშურის რაიპროკურორის თანაშემწე ამხ. შ. ა. ბეჟუაშვილის უკანონო მოქმედებას, და შემოწმების შედეგად წერილში მოყვანილი ფაქტები ჩადენილა სპსმბიონ დადასტურებულად.

ამავე დროს შემოწმება შეეხო ამხ. შ. ა. ბეჟუაშვილის მიერ ჩადენილ სხვა უკანონო მოქმედებას, რაც აგრეთვე დადასტურდა.

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის ბიუროს დადგენილებით ამხ. შ. ა. ბეჟუაშვილს გამოეცხადა საყვედური საკერცხეო ბარათში შეტანით, რგი განთავისუფლებულ იქნა ხაშურის რაიპროკურორის თანაშემწის თანამდებობიდან.

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის ბრძანებით ამხ. შ. ა. ბეჟუაშვილი მოიხსნა ხაშურის რაიპროკურორის თანაშემწის თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა პროკურატურის ორგანოებიდან შეუფერებელი მოქმედებისათვის და უსაფუძვლო და ცილისმწამებლური საჩივრების სისტემატურად წერისათვის.

„ჭიათურელი ალქიმიკოსები“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილთან დაკავშირებით ქალაქ ჭიათურის პროკურორი გვატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული წერილი „ჭიათურელი ალქიმიკოსები“ შემოწმებით დადასტურდა. ჭიათურის სახალხო სასამართლომ არკვია და კონიკის ფალსიფიკატორ რ. ღვალაძეს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მის ხელშეწყობ ბ. ჩაჩანიძეს — შრომა-გასწორებითი მუშაობა ერთი წლის ვადით. ორ-ორი წლით პირობითი სასჯელი დაედოთ ვაჭრობის დარგის მუშაკებს გ. კუპავას, ნ. აბრამიშვილს, გრიგოლ და თენგიზ მოდებაძეებს.

საერთაშორისო
დეკენელი, ცნობელი, ეიმოხილვა
ცხოვრება

ომის ქალებს დაამარცხებს მშვიდობის ქალები

ამერიკის მაშველი ქალები გერლინში

ბერლინი, 20 აგვისტო. (საკდესი). აღნის საგანგებო იუწყება: ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტთან დაკავშირებით ამერიკის ჯარების გაგზავნას დასავლეთ ბერლინის საოკუპაციო გარნიზონის განსამტკიცებლად — დასავლეთ გერმანიიდან დასავლეთ ბერლინში გაგზავნილია 1.500 კაცი — დასავლეთის სახელმწიფოთა გზებები პროვოკაციულად ასაღებენ სამხედრო შეჯრად დასავლეთ ბერლინში, თუმცა თავისუფალი შესვლა დასავლეთ ბერლინში და იქიდან გამოსვლა სრულებითაც არ არის დახურული.

როგორც აღნის საგანგებოს კორესპონდენტები სასაზღვრო საკონტროლო პუნქტიდან მარიენბორნიდან იუწყებიან, 20 აგვისტოს მოძრაობა ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. ზოგიერთი სატრანსპორტო კოლონას საჭირო კონტროლს უწევდნენ შესაბამისი ორგანოები და საკონტროლო პუნქტში გადიოდნენ გარკვეული რაოდენობის ჯგუფებად, აგრეთვე აცავდნენ ავტოსტრადაზე მოძრაობისათვის დაწესებულ ინტერვალებს.

სამარცხვინო ტურნე

ლონდონი, 21 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე აფრიკის საქმეებში მენენ უილიამსი, რომელიც მეორე ტურნეს აკეთებს აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში, დღეს პორტუგალიის კოლონია მოზამბიკიდან მალაშის რესპუბლიკაში გაფრინდა.

ლორენცო-მარკესის აეროდრომზე უილიამსმა განაცხადა, რომ მისი ვიზიტი მოზამბიკში „ფრიად სასარგებლო" იყო.

მაგრამ, რეიტერის საგანგებოს კორესპონდენტის ცნობით, უილიამსის ვიზიტი მოზამბიკში, არც თუ სასიამოვნო იყო.

კორესპონდენტი იუწყება, რომ, როცა წარსულ პარასკევს, უილიამსი ავტომობილით მიდიოდა ლორენცო-მარკესში, კოლონას სათავეში ჩაუდგა სატვირთო ბანქანა, რომელშიც აფრიკელი იდგა ხელში პლაკატით. პლაკატზე წარწერილი იყო: „წაეთრიეთ, დუპატიჟებელო უილიამს!"

საერთაშორისო გაზრდა

იზმირი, 21 აგვისტო. (საკდესი). გუშინ სალამოს აქ გაიხსნა იზმირის მე-30 საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობს 25 ქვეყანა, მათ შორის საბჭოთა კავშირი.

ბაზრობა გახსნა თურქეთის ვაჭრობის მინისტრმა ბაიდურმა. ბაზრობის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ იზმირის ათეულ ათასობით მცხოვრები, მრავალი ქვეყნის საგაჭრო წრეების წარმომადგენლები, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომელთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი თურქეთში ნ. ს. რიჟოვი.

როგორც წინა წლებში, საბჭოთა კავშირი ბაზრობაზე წარმოდგენილია როგორც დიდი ინდუსტრიული სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს მძლავრ კოსმოსურ ხომალდებს, პორტატიულ რადიომიმღებებს, უზარმაზარ საღარავ ჩარხებსა და უუსტეს ოპტიკურ ხელსაწყოებს. პავილიონში წარმოდგენილია აგრეთვე სულ სხვადასხვა მარკის საბჭოთა ავტომობილები, სახარატო ჩარხები, საკმესავი მანქანები, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო და სხვა მანქანები.

ამერიკელ ჟურნალისტთა ბერლინის ინციდენტი

ბერლინი, 19 აგვისტო. (საკდესი). ბერლინში საბჭოთა შეიარაღებული ძალების გარნიზონის კომენდანტმა 18 აგვისტოს დასავლეთ ბერლინში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სექტორების კომენდანტებს გადასცა მათი 15 აგვისტოს წერილების შემდეგი პასუხი:

თქვენს 1961 წლის 15 აგვისტოს წერილთან დაკავშირებით დავალებული მაქვს გადმოგცეთ შემდეგი.

როგორც უკვე არაერთგზის ხაზგასმით აღინიშნა, ბერლინში საბჭოთა ჯარების გარნიზონის კომენდატურა არ ერევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის საქმეებში. საკითხი, რომლითაც თქვენ მოიმართავთ, მთლიანად ეკუთვნის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციას. ღონისძიებებს დასავლეთ ბერლინთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე იღებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ ოთხმოცზე მეტი დივერსიული, ძირგამომხრული და ჯაშუშური ორგანიზაცია. კომენდანტებმა უეჭველია იციან ისეთი ფაქტებიც, როგორიც არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საჰაერო კორიდორებით დასავლეთგერმანელი რევანშისტებისა და მილიტარისტების გადაყვანა დასავლეთ ბერლინში თვითმფრინავებით შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობისათვის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ყოველგვარი ცდა შეიყვანოს დასავლეთი ბერლინი თავისი საომარი მზადების სფეროში. საკმაოდ ფართოდ ცნობილია აგრეთვე როლი, რომელიც დასავლეთ ბერლინს ეკუთვნის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ნატოს ქვეყნების გეგმებში — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის ძირგამოთხრის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ მტრული და წამქეზებლური პროპაგანდის, წარმოების გეგმებში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკოსებმა აშკარად უწოდეს დასავლეთ ბერლინს „ფრანტის ქალაქი", რომელიც, ვითომდა, მოწოდებულია ხელი შეუშალოს მშვიდობიან მშენებლობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში.

ყოველივე ეს კეთდებოდა, მიუხედავად არაერთგზის სერიოზული გაფრთხილებისა ასეთი მტრული მოქმედების შედეგების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფლებამ არავითარი ღონისძიება არ იხმარეს, რომ ბოლო მოეღებოდა დასავლეთ ბერლინის ტერიტორიის გამოყენებას ასეთი შეუწყნარებელი საერთაშორისო პროვოკაციებისათვის.

სავსებით ბუნებრივია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იძულებული გახდა რევანშისტული და მილიტარისტული წრეების ასეთი პროვოკაციული საქმიანობის გამო მიეღო ღონისძიებანი ამ საქმიანობის აღსაკვეთად. ამ ღონისძიებათა მიზანია სახელმწიფოთა მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესების დაცვა, რაც ამ სახელმწიფოებმა განაცხადეს თავიანთ ერთობლივ მიმართვაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი.

როგორც აღნიშნულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა განცხადებაში, მთელი პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობისა და გარკვეული უბერხულობისათვის, რასაც განიცდის მოსახლეობის ერთი ნაწილი ამ დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით, სავსებით და მთლიანად ეკისრებათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტულ-მილიტარისტულ წრეებს, აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებიც საოკუპაციო ფუნქციებს ახორციელებენ დასავლეთ ბერლინში. მაშასადამე, ეს პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენც, ბატონო კომენდანტო, როგორც პირს, რომელიც საოკუპაციო ხელისუფლებას მეთაურობთ. ამიტომ 15 აგვისტოს წერილში ჩამოყალიბებულ თქვენს პრეტენზიებს გადაჭრით უარვყოფ როგორც მოკლებულს ყოველგვარ საფუძველს.

ბერლინში საბჭოთა ჯარების გარნიზონის კომენდანტის საპასუხო წერილი დასავლეთის სექტორების კომენდანტებს

ღონისძიებებთან დაკავშირებით სრულიად უადგილო.

რა თქმა უნდა, დასავლეთ ბერლინში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სექტორების კომენდანტებმა ძალიან კარგად იციან მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს დასავლეთ ბერლინის საზღვარზე ეფექტიანი კონტროლის შემოღების საჭიროება. მრავალგზის აღინიშნა, რომ დასავლეთ ბერლინში მოიკალთა და საოკუპაციო ხელისუფლებ'ამოფარებული ეუფევა ძირგამომხრელ მუშაობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. ოთხმოცზე მეტი დივერსიული, ძირგამომხრული და ჯაშუშური ორგანიზაცია. კომენდანტებმა უეჭველია იციან ისეთი ფაქტებიც, როგორიც არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საჰაერო კორიდორებით დასავლეთგერმანელი რევანშისტებისა და მილიტარისტების გადაყვანა დასავლეთ ბერლინში თვითმფრინავებით შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობისათვის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ყოველგვარი ცდა შეიყვანოს დასავლეთი ბერლინი თავისი საომარი მზადების სფეროში. საკმაოდ ფართოდ ცნობილია აგრეთვე როლი, რომელიც დასავლეთ ბერლინს ეკუთვნის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ნატოს ქვეყნების გეგმებში — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის ძირგამოთხრის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ მტრული და წამქეზებლური პროპაგანდის, წარმოების გეგმებში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის

ტელეგრაფი გვატყობინებს

კუბის პრეზიდენტი ეწვევა ჩეხოსლოვაკიას

პრაღა, 19 აგვისტო. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციათა საგანგებო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ ჩეხოსლოვაკიაში მიიწვია კუბის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი. პრეზიდენტი ო. დორტიკოსი ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვა სექტემბრის პირველ ნახევარში.

ახალგაზრდობის ახალი ფესტივალი

ჰელსინკი, 19 აგვისტო. (საკდესი). ჰელსინკიში ორ დღეს მიმდინარეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტების XIII მსოფლიო ფესტივალის მოგზაურების საერთაშორისო კომიტეტის სხდომა. კომიტეტმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 24 ქვეყნის წარმომადგენლებმა, გადაწყვიტა მოაწყოს ფესტივალი 1962 წლის 27 ივლისიდან 5 აგვისტომდე ჰელსინკიში. ფესტივალის მოწაწილეთა რიცხვი განსაზღვრულია 15-18 ათასი კაცით.

ანგოლაში გაიგზავნენ ჯარები

ლონდონი, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის საგანგებოს კორესპონდენტი იუწყება, გუშინ ლისაბონიდან გავიდა პორტუგალიის გემი „კუანზა". გემზე 1.350 ჯარისკაცია, რომელთა უმრავლესობა პორტუგალიის კოლონია ანგოლაში მიემგზავრება. დანარჩენი ჯარისკაცები განკუთვნილია კოლონიური ჯარების განსამტკიცებლად პორტუგალიის მეორე კოლონიაში — მოზამბიკში.

ი. გაგარინი უნგრეთში

ბუდაპეშტი, 20 აგვისტო. საგდესის კორესპონდენტი ა. სემენოვი იტყობინება: დღეს უნგრეთის მმართველები აღნიშნავენ ორ დღესასწაულს — კონსტიტუციის დღესა და მოსავლის დღესასწაულს. მაგრამ მიმდინარე წელს მთელ უნგრეთს აქვს კიდევ ერთი სასწაულიანი დღესასწაული — სამგზავრო ... სათვის. უნგრელ ხალხს ესტუმრა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ი. გაგარინი.

მაიორი გაგარინი, რომელმაც დღეს დაიწყო ამ ქვეყნის გაცნობა, ... სამხრეთ რაიონებში გაეგზავნა.

პირველად იგი მცირე ხნით შეჩერდა სიჭაბუკის ქალაქში, მეტალურგთა ქალაქ სტალინვაროში. ქალაქის მცხოვრებლებთან მისი შეხვედრა ხანმოკლე, მაგრამ განსაკუთრებით მთამბეჭდავი იყო. გაგარინმა ეს ქალაქი ყველაზე ადრე მოფენილი გზით გაიარა. ასეთივე სურათს ნახავდით ყველა სხვა ქალაქსა და სოფელში, სადაც დღეს იყო გაგარინი. მეშვიდეტომა ქალაქ კომლომდე, რომელიც დღეს თავისი დაარსების წლისთავს აღნიშნავს. ამის აღსანიშნავად ამ ქალაქში ... ...

ჩანაწერი ნორჩი ტურისტების საგზაურო ცხოვრებაზე

ბალიანი ბოლოს

ეს დღეს არაგვის ხეობაში გადაუღებლივ წვიმდა. ტურისტები კი ბარგს ეზიდებოდნენ. ჩარგლის კართან ახლოს, მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირას კარვებსა შლიდნენ. ფშავის მთებიდან დაშვებულ პატარა ჩარგლულას თავი მოგიგიანებინა, მოშხუოდა ქაფად ქცეული, სიბ ქვებზე ახეთქებდა ტალღებს, ნაპირებს იფართოებდა.

ბავშვები ხიდის მაგვრად სახელდახელოდ გადებულ ხეებზე მკვირცხლად გადადიოდნენ. გადადიოდნენ და უხაროდათ, რომ ბანაკობის დასაწყისშივე დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდათ, ტურისტულ ნათლობას იღებდნენ.

ასე შემოფრინდნენ პირველი მერცხლები თბილისის ბავშვთა ცენტრალური ტურისტული სადგურიდან არაგვის შვეიცარიერ ხეობაში. ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან მოვიდნენ აქ, დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას სამშობლო მხარეში, ნორჩი ტურისტები, ფენოლოგები, რომ უფრო კარგად შეისწავლონ პოეტის სამყარო, ნახონ ვაჟას საყვარელი მთები, ხეები, ფოთლები, ყვავილები. თვალი შეავლონ მთის ამაყ არწივს, საბრალო ბებერ ქედს, მხიარულ ჩხიკვებს, ტოროლებს...

არაგვის ქალაქი გაშლილი მათი ბანაკი, აქ არიან როგორც „ნაცადი", ისე „დამწყები" ნორჩი ტურისტები, თითქმის ყველამ იცის კარვის გაშლა, კომპასის ხმარება, ორიენტირება მზით, საათით და ადგილობრივი საგნების მიხედვით. იციან ზზიმეტით სიარული. გზის მაჩვენებელი ნიშნების გამოყენება. მოვიდნენ, რომ აქ ჩაატარონ დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი V რესპუბლიკური შეჯრება. დაბა ნაკების პირველი დღიდანვე შეუდგნენ ადგილმდებარეობის შესწავლას.

„ამ ადგილს, სადაც ჩვენი ბანაკია, ადგილობრივი მცხოვრებნი ვეძახ ეძახიან. ვეძა მყავს, მწარეს ნიშნავს. მახლობლად მყავე წყლებია. ალბათ სახელწოდება აქედან წარმოსდგა", — ვკითხულობთ ნორჩი ტურისტის ჩანაწერს.

„ვაჟას წყაროც აქეეა ახლოს, ახლა იგი მილებში გამოუმწყვდევიათ, უფრო მოხერხებულ ადგილს გაპყავთ, რომ ყველა დაღლილმა მგზავრმა შესვას და ვაჟა გაიხსენოს".

ბანაკიდან სულ რამდენიმე ნაბიჯზე, მინგრელაურის მთის ძირას არაგვი მიაკლავნება. ბანაკის მეორე მხარეს ტყეა. ალბათ ამან დააწერინა რაჭიდან მოსულ ნორჩ ტურისტს: „რა ლამაზი ადგილია, რაჭაშიც არის ლამაზი ადგილები, დაილოცოს, საქართველოვ, შენ მთა და შენი ბარი".

განსაკუთრებით დიდი ინტერესით ნორჩი ფენოლოგები აკვირდებიან გარემოს, ამინდს, ცხოველებს და ფრინველებს. მათ დამსახურებულად მოიპოვეს შეკრებაზე მონაწილეობის უფლება. ხომ საინტერესოა ვიცოდეთ, საქართველოს რომელ რაიონში გაახლეს თვალს პირველად ია, რომელში ყველაზე ბოლოს: რომელი ფრინველი მოფრინდა თბილი ქვეყნებიდან პირველად და რა დროს, რომელი სულ ბოლოს. ნორჩ ფენოლოგ დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით თბილისის ნორჩ ტურისტთა ცენტრალურ სადგურს მრავალი საინტერესო სქემა ჰქვს შედგენილი, მათივე მასალების მიხედვით არის გაკეთებული მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნილი ალბომი: „მოფრინდა პირველი მერცხალი".

ბანაობის მეორე დღეა. დროგამოშვებით ისევ წვიმს. ცა მოღუშულა. ბავშვები ტყეში კოცონისათვის ფიჩხს აგროვებენ. მორიგეები სადილს ამზადებენ. არსად არ არის ისე გემრიელი ფაფა და წვნიანი, როგორც აქ, არაგვის პირას, ნორჩ ტურისტთა ბანაკში. მას თვითონ ბავშვები ამზადებენ „ოქროსხელებიანი" დიასახლისების დეიდა ნადიას და დეიდა ანიკოს ხელმძღვანელობით. აი უკვე ისადილეს. ჯამ-ჭურჭელი თვითონვე დარეცხეს, დაასუფთავეს და მიალაგეს. ეს ისე სწრაფად მოხდა, თითქოს ასმა ბავშვმა კი არა, მხოლოდ ერთმა ისადილა...

უკვე შებინდდა. არაგვის ხეკში კუბრავით შავი, უმთვარო ღამე ჩამოწვა. ღრუბლები იბერებიან და იმუქრებიან. ბანაკის შუაგულში კოცონი ანგაზგაზეს. მისი სიმაღლე 10 მეტრამდე აღწევს. თითქმის ცამი შეჯრილან ცეცხლის ენები. ნაწვიმარზე განსაკუთრებით გემრიელია ცეცხლთან მფიცხება. ირგვლივ ჯერ ისევ ნესტი და ჟინღლია. ბანაკი აჯამებს მთელი დღის ნაშრომს. გურჯაანისა და ყვარლის ჯგუფებს, დღევანდელ მორიგეებს მადლობა გამოუცხადეს კარგი მომსახურებისათვის, გემრიელი კერძებისათვის. ასე ხდება ყოველთვის. სხვადასხვა რაიონებიდან მოსული ბავშვები ცხადად თუ არა, გულში მაინც ეჯიბრებიან ერთიმეორეს, ცდილობენ თავი გამოიჩინონ, თავისი რაიონი არ შეარცხვინონ.

დამთავრდა ბანაკის ერთი დღე. ბავშვები დაიშალნენ. თავთავის კარვებისაკენ გასწიეს. სიჩუმეა. მხოლოდ არაგვი შხუილს. ნანასავით ჩაესმით მისი დუდუნი მოქანცულ ტურისტებს, სადღაც ჩურჩული გაისმა:

— გახსოვს შარშან რაჯაში, შავორის ველზე, ჩვენი ბანაკი?

— რა დამავიწყებს, ორმოცი კოცონი რომ აგიზგიზდა ორმოცი წლის აღსანიშნავად. ჩვენი უკრაინელი და ტუშინოელი სტუმრები ახლაც მწერენ ბარათებს.

— ალმბიც გამოუგზავნიათ საჩუქრად.

— ვეჯინი. ვეჯინი გახსოვს?

— ჰო, მგონი არსად არ არის ცა ისე ახლოს და ისეთი ლამაზი, როგორც ვეჯინში.

— დიდგორზე რომ გადავედით...

— მანდ რა ჩურჩულია?! დაიძინეთ!

— ჩამოიარა მორიგემ, და ჩურჩულიც შეწყდა.

ღილით ისევ ჟინღლავდა. მაგრამ მოგზაური რა მოგზაურია, წვიმის წვეთებმა რომ დააოკოს. მთელი ბანაკი აიყარა, ჩარგლისაკენ გაუდგნენ გზას. დიდგული, ანკარა ჩარგლულა გადაკრეს. ბარისახოსკენ მიმავალი გზა უკან მოიტოვეს და ჩარგლისკენ გაყვნენ ფართო შარას. გზა გრძელია, მიდამო — ლამაზი. ფშავის მთებზე თეთრი, მსუბუქი ნისლი გაწოლილა, ხანდახან მზე სადღაც გაიღიმებს და ისევ სწრაფად მიიმალება. მთამ ხომ ასე იცის. დღეში რამდენჯერმე იცვლება ამინდი. უცებ შავი ღრუბლები აიმალნენ და ჩარგლისაკენ გაემართნენ.

— აბა, ბიჭებო, ნაბიჯს ვუჩქაროთ, რომ ღრუბლებმა არ გაგვისწრონ. — ნეტავ ვინ არის, ასე მარდად რომ მიაბიჯებს, სხვებიც თან გაიყოლია. კახურ ქილოზე უქცევს. სიღნაღელი თუა ან გურჯაანელი.

გზა ფართოა, მაღლა-მაღლა მიდის. გვერდით რჩება მთები, ხევები, მთის ანკარა წყაროები, ნაკადულები, ყვავილები. ალაგ-ალაგ სიბ კლდეზე ხის ფესვები გაკლაკნულან.

— აი, საცაა ფოთლები გაიშრიალებენ და ტყიდან დამფრთხალი შვლის ნუკრი გამოხტება. ფერდობებზე კანტიკუნტად ჩანან სახლები. ბავშვები მწყობრად მიდიან. მთიდან ნიავი ჩამოუქროლებთ. და ასე ნელა, ნელა ჩაესმით ვაჟას პოეზიის სუნთქვა. ბანაკს თავისი პოეტიც ჰყავს. დაფიქრებული მიბიჯავს სერგო სულაკაური. ბიჭები ამბობენ, ჩარგლის კარიდან ჩარგალამდე ახალ ლექსს დაწერსო. მართლაც დაწერა:

„ვაჟას ჩარგალო, შენთან მოვსულვარ,
კეთილი იყოს შეხვედრა ჩვენი,
მთას ფშაველივით მიჰყვება გზა და
ვაჟას მკერდივით სუნთქავენ ხენი...
შენი თუშების პირმშო მოვედი,
მოვედი გიძღვნა სიკეთე ხვავად,
მოვსულვარ, ბარტყი შენი მიწისა,
მემკვიდრეობის მოსაკითხავად".

იმ დღეს „მემკვიდრეობის მოსაკითხავად" ჩარგალს ასზე მეტი ნორჩი ტურისტი ეწვია და ვინ იცის კიდევ რამდენი ასეული ბავშვი მოაკითხავს და მოინახულებს ვაჟას სახლ-მუზეუმს.

— ასე პატარა სახლი! — გაისმის აქეთ-იქიდან, — „თეთრი ბუხარი", „კიდობანი".

ყველაფერი ეს ვიწრო ფანჯრიდან დაინახეს. სხვა საშუალება არ იყო, რადგან მუზეუმის კარი ჯერ ისევ გამოკეტილია დაგვიანებული რეჟიმენტის გამო. მაგრამ შთაბეჭდილება მოხუცება ქეთევანმა, ვაჟას ცოლის დამ გამოაკეთა. — „სადაც არ უნდა ყოფილიყო ვაჟა, მუდამ თავისი მთებისაკენ მოუწევდა გული. როცა მძიმედ ავად გახდა, მთხოვა ჩარგალში წამამიყვანა. იქ უსათუოდ მოვრჩებიო. შენ დამდექ თავსა და მომიარეო. სიკვდილის წინ მითხრა: — ქეთევან, აი ეს კამფეტები მიირთვი, ქალებმა მომატანესო. შენ კი წადი და ბალახი, ფოთლები და ყვავილები მომიტანეო".

— ახლა აქეთ წამოდით, — წარუძღვა წინ ბავშვებს მოხუცი, — ვაჟას საყვარელი პატარა წყაროო უნდა გიჩვენოთ, რაღაცას უპირებენ, ჯერ-ჯერობით ისევ ისეა, როგორც მის სიცოცხლეში იყო. მოზრდილი სიპის ქვის ქვეშ, პატარა გუდესი მატერიალური ზარალი გამოიწვია.

— სტიქიური უბედურება სულ ბევრი ათ წუთს გრძელდებოდა, მაგრამ მისი შედეგები ძმიმე აღმოჩნდა, — განაცხადა „იზვესტიის" კორესპონდენტთან საუბარში ვორონეჟის ხაოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ პ. ლუკიანოვმა. — მინის ნამსხვრევებით, სახურავის ნატეხებით, სეტყვით ქალაქის ბევრი მცხოვრები დაიჭრა.

ვორონეჟში შექმნილმა საგანგებო კომისიამ დაუყოვნებლივ მიმართა რადიოთი მოსახლეობას და მოუწოდა სიმშვიდე და წესრიგი დაეცვა, მთელი ძალები დაერაზმა სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ.

ვორონეჟელები არ დაბნეულან. მათ დისციპლინიანობა და საბჭოთა ადამიანის მოვალეობის მაღალი შეგნება გამოიჩინეს. პანიკის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

პირველ რიგში საჭირო იყო სამრეწველო საწარმოებისა და ქალაქის მეურნეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება. ელექტრიკოსთა საავარიო ბრიგადები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ელექტროკაბელის აღდგენას და უკვე 14 აგვისტოს საღამოს ფაბრიკებმა და ქარხნებმა ენერგია მიიღეს.

მთელ ღამეს გრძელდებოდა ქუჩების გაწმენდა, ღილით კი ქუჩებში, როგორც ჩვეულებრივ, ტრამვაები და ტროლეიბუსები ამოძრავდნენ. ყველა მაღაზია გაიღო და მცხოვრებლებს შეეძლოთ ახალი პური, რძე და სხვა პროდუქტები ეყიდათ. მშენებელთა ბრიგადები შეუდგნენ საავადმყოფოების, სბავშვო ბაღების, ბაგების, ღრმა მოხუცთა სახლების შეკეთებას. ყოველ სახლმმართველობაში მოხალისეებმა — ხუროებმა, მემინეებმა — თავიანთი ძალებით გააკეთეს პირველი, ყველაზე აუცილებელი შეკეთება.

ახლა ვორონეჟში ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, თუმცა დაზიანების კვალი კიდევ ჩანს. მაგრამ ისიც მალე გაქრება. რუსეთის ფედერაციის მეზობელი ოლქები გამოეხმაურნენ ვორონეჟელთა მოწოდებას — გაუწიონ დახმარება საშინი მასალებით. მაგალითად, ლიპეცკის სახალხო მეურნეობის საბჭომ უკვე გადახცა ვორონეჟელებს თავის განკარგულებაში არსებული ფანჯრის მინა და სახურავი.

— ახლა ვორონეჟში პროდუქტებით, წყლით, ელექტრობით მომარაგებაში შეფერხება არ არის, — თქვა დასასრულ პ. ლუკიანოვმა. — ქალაქის საწარმოები ნორმალურად მუშაობენ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მთელი მრეწველობა შეასრულებს აგვისტოს გეგმას. ვორონეჟელები დაამტკიცებენ, რომ საბჭოთა ადამიანები ყოველ სტიქიაზე უფრო ძლიერი არიან.

ვ. ბელიკოვი.

* * *

სურათზე: რეკონსტრუქციის პროსპექტი ვორონეჟში გრიგალის შემდეგ.
(„იზვესტია", 20/VIII).

ქალაქმა ს